**შპს „შიკ ბებე“**

**ფინანსური ანგარიშგება**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**შინაარსი:**

**ფინანსური ანგარიშგება**


სრული შემოსავლის ანგარიშგება....3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება....4

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება....5

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება....6


**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**


1. ზოგადი ინფორმაცია....7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი....7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები....8
4. ამონაგები....8
5. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება....8
6. წინასწარ გადახდილი გადასახადები....9
7. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა....9

**შპს „შიკ ბებე“**

**სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

| | **შენიშვნა** | **2018** |
|---|---|---|
| ამონაგები | 4 | 2,134,529 |
| რეალიზაციის თვითღირებულება | 5 | (1,182,257) |
| **საერთო მოგება** | | **952,272** |
| | | |
| იჯარა | | (508,148) |
| შრომის ანაზღაურება | | (304,123) |
| სხვა საოპერაციო ხარჯი | | (112,344) |
| **საოპერაციო მოგება** | | **27,657** |
| | | |
| საკურსო სხვაობით მიღებული მოგება, წმინდა | | 15,982 |
| **წლის მთლიანი სრული შემოსავალი** | | **43,639** |

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

| | | |
|---|---|---|
| დირექტორი | _____ | ეკატერინე სადაღაშვილი |
| მთავარი ბუღალტერი | _____ | ანზორ ხმალაძე |

7 - 11 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**შპს „შიკ ბებე“**

**სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

| | შენიშვნა | 2018 |
|---|---|---|
| ამონაგები | 4 | 2,134,529 |
| რეალიზაციის თვითღირებულება | 5 | (1,182,257) |
| **საერთო მოგება** | | **952,272** |
| | | |
| იჯარა | | (508,148) |
| შრომის ანაზღაურება | | (304,123) |
| სხვა საოპერაციო ხარჯი | | (112,344) |
| **საოპერაციო მოგება** | | **27,657** |
| | | |
| საკურსო სხვაობით მიღებული მოგება, წმინდა | | 15,982 |
| **წლის მთლიანი სრული შემოსავალი** | | **43,639** |

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

| | | |
|---|---|---|
| დირექტორი | | ეკატერინე სადაღაშვილი |
| მთავარი ბუღალტერი | | ანზორ ხმალაძე |

LTD CHIC BEBE * შპს შიკ ბებე * 404967773

7 - 11 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

| | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018 |
|---|---|---|
| **აქტივები** | | |
| **მიმდინარე აქტივები** | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 21,722 | 28,836 |
| სავაჭრო მოთხოვნები | - | 6,325 |
| მარაგები | 968,924 | 850,196 |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | 24,809 | 98,817 |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | **1,015,455** | **984,174** |
| | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | |
| ძირითადი საშუალებები | 17,165 | 22,718 |
| არამატერიალური აქტივები | 9,496 | 9,496 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | **26,661** | **32,214** |
| **სულ აქტივები** | **1,042,116** | **1,016,388** |
| | | |
| **კაპიტალი და ვალდებულებები** | | |
| **კაპიტალი** | | |
| დაგროვილი ზარალი | (56,830) | (100,469) |
| **სულ კაპიტალი** | **(56,830)** | **(100,469)** |
| | | |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 21,811 | 28,564 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | 21,811 | 28,564 |
| | | |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | |
| მომწოდებლებთან წარმოქმნილი ვალდებულებები | 1,077,135 | 1,088,293 |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | **1,077,135** | **1,088,293** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | **1,042,1156** | **1,016,388** |

7 - 11 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

| | **დაგროვილი ზარალი** | **სულ** |
|---|---|---|
| **1 იანვარი 2018** | **(100,469)** | **(100,469)** |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი | 43,639 | **43,639** |
| **31 დეკემბერი 2018** | **(56,830)** | **(56,830)** |

7 - 11 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

| | **2018** |
|---|---|
| **ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:** | |
| კლიენტებისგან მიღებული ფული | 2,523,020 |
| მომწოდებლებზე გადახდილი თანხები | (1,102,476) |
| გადახდილი ხელფასები | (330,721) |
| გადახდილი გადასახადები | (530,193) |
| სხვა გადახდილი თანხები | (582,364) |
| **წმინდა ფულადი სახსრების ზრდა** | **(22,734)** |
| **ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის** | 28,836 |
| საკურსო სხვაობის გავლენა | 15,620 |
| **ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის** | **21,722** |

7 - 11 გვერდებზე წამოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების  განუყოფელი ნაწილია.

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „შიკ ბებე“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2012 წლის დეკემბერში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ცინცაძის ქ. 12. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია 404967773.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბავშვო პროდუქტით (სასეირნო ეტლები, ტანისამოსი, ფეხსაცმელი და სხვა) საცალო ვაჭრობა, გარდა საკვები პროდუქციისა. კომპანიის მაღაზიებში წარმოდგენილია შემდეგი ბრენდები: MIMA, CAM, CYBEX, TUCTUC, BABYZEN YOYO და სხვა.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია 4 მაღაზიას ფლობდა თბილისსა და ბათუმში. კომპანიის დირექტორია ეკატერინე სადაღაშვილი.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით არის მარიამ მესხელი.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

### ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ მიზნით, რომ მენეჯმენტმა მოამზადოს „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტმა გამოიყენა იმ სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების, სააღრიცხვო პოლიტიკის საუკეთესო ცოდნა, რომელსაც კომპანია გამოიყენებს, როდესაც მოამზადებს მსს ფასს-ების სრულად შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დაფუძნებულია მენეჯმენტის მიერ სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, მიმდინარე ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო ცოდნაზე, ის შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, სააღრიცხვო სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ შესაძლოა გამოუშვას დამატებები და ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე. შესაბამისად, სანამ კომპანია პირველად მოამზადებს მსს ფასს-ის სრულად შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას და განსაზღვრავს გადასვლის თარიღს მსს ფასს -ის შესაბამისად, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ცვლილების შესაძლებლობა ვერ გამოირიცხება.

რადგან მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი, ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ მოიცავს წინა პერიოდის შესადარის მონაცემებს. შესაბამისად, აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ ითვალისწინებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის წარდგენას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

### ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**დაბეგვრა** - ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

## 4. ამონაგები

| | 2018 |
|---|---|
| ბავშვის სასეირნო ეტლი | 1,521,832 |
| ბავშვის ტანსაცმელი | 247,720 |
| სხვა | 364,977 |
| | **2,134,529** |

## 5. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

| | 2018 |
|---|---|
| ბავშვის სასეირნო ეტლი | (856,156) |
| ბავშვის ტანსაცმელი | (159,028) |
| სხვა | (167,073) |
| | **(1,182,257)** |

## 6. წინასწარ გადახდილი გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულად, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები 24,809 და 98,817 ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად.

## 7. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

| | აშშ დოლარი | ევრო |
|---|---|---|
| კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6766 | 3.0701 |
| კურსი 2018 წლის 1 იანვრისთვის | 2.5922 | 3.1044 |

### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ექვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

### სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

## 7. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ყველა ძირითადი საშულება და არამატერიალური აქტივი აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის/ამორტიზაციის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა/ამორტიზება ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის/ამორტიზების წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების ყველა ჯგუფისათვის. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

### მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირბეულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა.

### დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანოკმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულად.

### საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

## 7. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

### ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

### ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

### ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიას არ ჰყავს დაკავშირებული მხარეები.